

# მაკა მანია

შპს „ავერსის კლინიკა“, ექიმი-ნევროლოგი, მედიცინის დოქტორი

დაიბადა 1978 წლის 2 მარტს, ზუგდიდში. 1995 წელს წარჩინებით დაამთავრა ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის I საშუალო სკოლა.

### განათლება

- 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი.
- 2003-2007 წწ. სწავლობდა დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტში სპეციალობაზე „ნევროლოგია“.

### სახელმწიფო სერტიფიკატები

- ზოგადი პროფილის ექიმი – 2002 წ
- ნევროლოგია – 2007 წ

### საექიმო მოღვაწეობა ნევროლოგიაში

- 2007წ – საქართველოს რკინიგზის ცენტრლურ კლინიკურ საავადმყოფო
- 2007წ – შპს “Energy Invest”
- 2008 წლიდან დღემდე – შპს „ავერსის კლინიკა“

### სამეცნიერო მოღვაწეობა

- 2007-2008 წლებში პროფესორ ნათელა ოკუჯავას ხელმძღვანელობით მოიპოვა თსსუ სამეცნიერო გრანტი თემაზე „ვალპროს მჟავა და მეტაბოლური სინდრომი“.
- 2009 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში (სპეციალობა – ნევროლოგია), სადაც განაგრძნო ვალპროს მჟავას მეტაბოლური ეფექტების შესწავლა ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტებში პროფ. ნათელა ოკუჯავას ხელმძღვანელობით.
- 2009 წელს თანამშრომლობდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტით დაფინანსებულ პროექტში პროფ. მიხეილ ოკუჯავასა და პროფ. ნათელა ოკუჯავას ხელმძღვანელობით. პროექტი შეისწავლიდა ინტერიქტალური ეპილეპტიფორმული განტვირთვების ზეგავლენას კოგნიტურ ფუნქციებზე საფეთქლის წილის ეპილეფსიის დროს.
- 2012 წლიდან დღემდე მონაწილეობს პროექტში „გლობალური კამპანია თავის ტკივილის წინააღმდეგ“,

maka.mania@yahoo.com

რომელსაც ახორციელებს თავის ტკივილის საერთაშორისო ასოციაცია და თავის ტკივილის ევროპის საზოგადოება.

- 2013 წლის 11 იანვარს მიენიჭა მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

### საზოგადოებრივი საქმიანობა

- 2004-2005 წწ. – მოღვაწეობდა საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაცია "სტუდენტი"-ის ფარგლებში კოორდინატორად და ეწეოდა სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობას, მონაწილეობდა მთიანი რეგიონებისათვის მედიკამენტების მოპოვებასა და მიწოდებაში.
- 2009 - 2011 წწ. – ჟურნალ „საექიმო პრაქტიკის" თანამშრომელი.

### საპატიო სიგელი

- „თსსუ ცენტრალური კლინიკის ნერვულ სნეულებათა დეპარტამენტის 2005 წლის საუკეთესო თანამშრომელი".

maka.mania@yahoo.com